ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

**2016 წლის 29 სექტემბრის** სხდომის

ოქმი №6

სხდომას ესწრებოდა: 32 წევრიდან – 17.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: რ. ჯორბენაძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო გაცვლითი პროგრამის სტუდენტებისთვის უცხო ენის აღიარების შესახებ
   მომხს: რ. ჯორბენაძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. 2016-2017 სასწავლო წელს ჩარიცხულ დოქტორანტთა სწავლის გადასახადის დადგენა
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე
4. ცვლილებები "საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესში"
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე
5. ცვლილებები პროგრამის - "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიების მინიჭების საფაკულტეტო წესში
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე
6. ფაკულტეტის საბჭოში წევრთა დამატება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე
7. სადისერტაციო საბჭოდან შემოსული დოკუმენტის – დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელთა დამტკიცებისა და სემესტრის ცვლილების შესახებ
   მომხს: ვ. მელიქიძე, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, თ. დოლბაიამ, ტ. ირემაძემ, გ. კაკაურიძემ და სხვ.

ნ. დურგლიშვილმა დააყენა საკითხი აკადემიური წერის კომპონენტების პროფესორთა მიერ სილაბუსებში გათვალისწინებისა და სადიპლომო ნაშრომში მეტი მნიშვნელობის მინიჭების შესახებ. მისი თქმით, სტუდენტებს უჭირთ თანმიმდევრულად აზროვნება. მართალია, ისეთ სილაბუსს ვერავინ შექმნის, რომლითაც სტუდენტს წერის კულტურას ასწავლის, მაგრამ თუკი ეს პერმანენტული პროცესი იქნება, შედეგიც არ დააყოვნებს.

აღნიშნულ პრობლემაზე აზრი გამოთქვა ასევე მ. გერსამიამ, რომელმაც ყურადღება წერის კულტურასა და ციტირების მნიშვნელობაზე გაამახვილა. განსაკუთრებით, პლაგიატორობის შემთხვევებისადმი მკაცრი მიდგომისა და მათი თავიდან არიდების მექანიზმებზე გააკეთა აქცენტი. მ. გერსამიას აზრით, უნდა შეიქმნას პოსტერები, რომლებშიც ახსნილი იქნება, როგორ უნდა წეროს სტუდენტმა, რა უნდა იცოდეს პლაგიატის შესახებ და ა.შ.

საკითხის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოს სხვა წევრებმაც – ალ. კუხიანიძემ, მ. წერეთელმა, რ. ჯორბენაძემ, რომლებმაც დამსწრეთ აღნიშნული კუთხით საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. ითქვა, რომ მიუხედავად აკადემიური წერის შემსწავლელი სპეციალური სასწავლო კურსებისა, ახალი კადრების მომზადებისა, ფაკულტეტის მესვეურთა ძალისხმევისა თუ ცალკეულ პროფესორთა მცდელობებისა, პრობლემა ღრმაა და მუდმივ ყურადღებას ითხოვს.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები (გარდა სამაგისტრო პროგრამისა - "სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა", ხელმძღვანელი ნ. მაჭარაშვილი, რომელიც არ არის წარმოდგენილი) და ეთხოვოს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, თსუ-ს აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად გატანა, მათ მიერ პროგრამების მონიტორინგის შემდგომ (იხ. დანართი №1).

მოისმინეს: 2. რ. ჯორბენაძემ დამსწრეთ გააცნო საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ზ. დავითაშვილის წერილი, რომლითაც ბატონი ზურაბი ითხოვს გაცვლითი პროგრამით წასული სტუდენტებისთვის ინგლისური ენის აღიარებას.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ფ. ასანიშვილმა, თ. დოლბაიამ, შ. საბაურმა

დაადგინეს: გაცვლით პროგრამებში მონაწილე საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს თსუ-ში დაბრუნების შემდეგ უღიარდეთ შესაბამის სემესტრში გასავლელი ინგლისური ენა, თსუ-ს ენების ცენტრში ჩატარებული ტესტირების საფუძველზე.

მოისმინეს: 3. 2016-2017 სასწავლო წელს ჩარიცხულ დოქტორანტთა სწავლის გადასახადის დადგენის შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: მ. წერეთელმა, ტ. ირემაძემ, შ. საბაურმა, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: 2016-2017 სასწავლო წელს ჩარიცხულ დოქტორანტთათვის სწავლის გადასახადი განისაზღვროს სემესტრში 250 ლარის ოდენობით.

მოისმინეს: 4. საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესში ცვლილებების შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: მ. წერეთელმა, ტ. ირემაძემ, შ. საბაურმა, ზ. დავითაშვილმა, დ. მაჭავარიანმა და სხვ.

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 თებერვლის სხდომაზე (ოქმი №2) დამტკიცებულ წესში და საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი №2).
2. შევიდეს ცვლილება 2015 წლის 30 აპრილის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის №4 ოქმში და სტუდენტთა სამივლინებო კომისია დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით:

   1) ვ. მელიქიძე – დეკანის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
   2) გ. გოგსაძე – პროფესორი
   3) ფ. ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი
   4) ნ. ჭალაგანიძე – ასოცირებული პროფესორი
   5) მ. ბურძენიძე – დეკანის მოადგილე
   6) თ. ვახანია – ფინანსური ოფიცერი
   7) გ. კაკაურიძე – სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი
   8) მ. გოგილაშვილი – დეკანის თანაშემწე, კომისიის მდივანი

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში, კომისიის შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს დეკანის ბრძანებით.

მოისმინეს: 5. პროგრამის - "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სტიპენდიების მინიჭების საფაკულტეტო წესში ცვლილებების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: მ. წერეთელმა, ტ. ირემაძემ, შ. საბაურმა, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე (ოქმი №3) დამტკიცებულ წესში და "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიების მინიჭების საფაკულტეტო წესი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი №3)
2. შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე (ოქმი №3) დამტკიცებულ სტიპენდიების მინიჭების საკონკურსო კომისიაში და დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით:

    1) მ. ბურძენიძე – დეკანის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
    2) ვ. მელიქიძე – დეკანის მოადგილე
    3) თ. მატარაძე – სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
    4) ნ. მონიავა – სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
    5) ნ. დათიაშვილი – მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი
    6) თ. გოგორიშვილი – უფროსი სპეციალისტი
    7) ლ. აბაზაძე – მთავარი სპეციალისტი
    8) თ. ქარსაულიძე – უფროსი სპეციალისტი
    9) ნ. ქუფარაშვილი – უფროსი სპეციალისტი
    10) კ. შუბითიძე – უფროსი სპეციალისტი

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში, კომისიის შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს დეკანის ბრძანებით

მოისმინეს: 6. თ. დოლბაიამ დამსწრეთ გააცნო ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, რ. ჯორბენაძის წერილი და დეპარტამენტის სხდომის ოქმი, რომლითაც ფაკულტეტის საბჭოში 2 წევრის დამატება ითხოვა. მოთხოვნა ფაკულტეტის საბჭოს ფორმირების ზეპირი დათქმის შესაბამისია, კერძოდ: როცა დეპარტამენტს/მიმართულებას 5 პროფესორი ჰყავს, ფაკულტეტის საბჭოში წარმოდგენილია 2 წევრით, ხოლო როდესაც 5 - ზე მეტი – 4 წევრით.

აზრი გამოთქვეს: მ. წერეთელმა, მ. შამილიშვილმა, ნ. დურგლიშვილმა ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში და ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტიდან შემოსულ პროფესორთა რაოდენობა გახდეს 4 და ფაკულტეტის საბჭოში შევიდნენ - ასოცირებული პროფესორი ზ. აბაშიძე და ასისტენტ - პროფესორი თ. მატარაძე.
2. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად, ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა იყოს საბჭოს წევრთა 1/4- ზე ნაკლები; ამიტომ სტუდენტთა კვოტას უნდა დაემატოს 1 წევრი და ფაკულტეტის საბჭოს საერთო რაოდენობა განისაზღვროს 35 წევრით.

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოდან შემოსულ დოკუმენტში – დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელთა დამტკიცებისა და სემესტრის ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა ვ. მელიქიძემ

აზრი გამოთქვეს: მ. წერეთელმა, მ. შამილიშვილმა, მ. გერსამიამ, თ. მახარაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოდან შემოსული დოკუმენტი - "დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელთა დამტკიცებისა და სემესტრის ცვლილების შესახებ" წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი №4).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. სერგი კაპანაძე
9. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტი

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი

14. მარიამ გერსამია
15. დალი ოსეფაშვილი
16. მარი წერეთელი
17. მანანა შამილიშვილი
18. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

19. ნინო პავლიაშვილი
20. გიორგი გოგსაძე
21. მარინა ბოკერია
22. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

23. რევაზ ჯორბენაძე
24. ნოდარ ბელქანია

სტუდენტური თვითმმართველობა

25. შალვა საბაური
26. გიორგი კაკაურიძე
27. თორნიკე ცინაძე
28. მაგდა გიბიშვილი
29. მაჭავარიანი დავით
30. გვანცა გავაშელი
31. ტარიელ ირემაძე
32. დავით ფეიქრიშვილი

**დანართი #1**

## საბაკალავრო პროგრამები:

### საფაკულტეტო (საბაზისო)კურსები

სავალდებულო კურსები

1. „აკადემიური წერა“ გახდა სავალდებულო;

სალექციო კურსის დასახელების ცვლილება

2. „საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი“, ნაცვლად „შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში“, საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი;
3. „საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი“, ნაცვლად „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობაში“, საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი;

საფაკულტეტო(საბაზისო) არჩევითი კურსის დამატება

4. „მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისათვის)“.

**საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროგრამა:**

სემესტრული ცვლილებები/სემესტრის შეცვლა

1. „კულტურის გეოგრაფია“ - წაკითხული იქნება შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში.
2. „პოსტსაბჭოთა სივრცის გეოგრაფია“ - გადადის შემოდგომის სემესტრში.

სალექციო კურსის სტატუსის შეცვლა

3. „ საზოგადოებრივი გეოგრაფია და სოციალური თეორიები“ - გახდა არჩევითი.

**საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა:**

საგნების ამოღება

1. „ შესავალი ეკონომიკაში“ - ამოღებულია
2. „მიკროეკონომიკა“ - ამოღებულია
3. „ მაკროეკონომიკა“ - ამოღებულია

4. „ევროკავშირის პოლიტიკის მიმართულებები“ - ამოღებულია
5. „კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში“ -ამოღებულია

საგნების დამატება

6. „მიკროეკონომიკის პრინციპები“ - სავალდებულო, ლექტორი ლევან ნატროშვილი, (15/15)
7. „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ - ლექტორი სოფო პეტრიაშვილი
8. „მაკროეკონომიკის პრინციპები“ - არჩევითი, ლექტორი ლევან ნატროშვილი.

სალექციო კურსზე ლექტორის ცვლილება

9. „შესავალი ევროპათმცოდნეობაში“ - ლექტორი ნიკოლოზ სამხარაძე

სალექციო კურსის სახელის და ლექტორის ცვლილება

10. „აკადემიური წერა“ ნაცვლად „საერთაშორისო ურთიერთობის შესწავლის საფუძვლები“ - ლექტორი ალექსანდრა სულაძე, (30/15)

სალექციო კურსის საკონტაქტო საათების ცვლილება

11. „მეოცე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობები“ - ლექტორი სოფიო პეტრიაშვილი (15/15).
12. „ომების თეორია და ისტორია“ – ლექტორი სოფიო პეტრიაშვილი (15/15).
13. „რეგიონალიზმი და საერთაშორისო პოლიტიკა“ – ლექტორი სოფიო პეტრიაშვილი (15/15).

**პოლიტიკის მეცნიერების პროგრამა**

ახალი საგნის დამატება

1. „ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური კონცეფცია“ - პროფესირი მალხაზ მაცაბერიძე, მოწვეული ლექტორები - დავით სართანია, ლიკა თეთრაძე, თინა ცხოვრებაძე, (15/15).

სალექციო კურსის სილაბუსის ცვლილება

2. „დემოკრატია და მოქალაქეობა“ - თამარ ქარაია, 5 კრედიტი, (15/30). დასკვნითი გამოცდა 30 ქულა.

სალექციო კურსის სილაბუსის ცვლილება

3. „გენდერი პოლიტიკურ კონტექსტში „ ნაცვლად „გენდერი და პოლიტიკისა“
4. „სამოქალაქო საზოგადოება“ ნაცვლად „სამოქალაქო საზოგადოება - შედარებითი ანალიზი“.

**ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ბილინგვური პროგრამა (რუსულ-ქართული):**

საფაკულტეტო საგნის ამოქმედება

1. „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობაში“ - პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე, რუსულ ენაზე, 3 საათი.
2. „შესავალი სოციოლოგიაში“ - პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი, მოწვეული ლექტორი ნინო ამონაშვილი 3 საათი.

სალექციო კურსზე ლექტორების დამატება

3. „შესავალი ჟურნალიოსტიკასა და მასკომუნიკაციაში“ - ლექტორები, ასისტენტ პროფესორი ხათუნა მაისაშვილი, ასისტენტ პროფესორი ელზა ლომიძე.
4. „საზღვარგარეთის მედია“ - ასოცირებული პროფესორი ირინა ბიჭიკაშვილი, მოწვეული ლექტორი ამალია ოგანჯანიანი.
5. „ჟურნალისტიკა და პიარი“ - ასოცირებული პროფესორი ირინა ბიჭიკაშვილი, მოწვეული ლექტორი ამალია ოგანჯანიანი.

სალექციო კურსზე ლექტორის ცვლილება

6. „საინფორმაციო სააგენტოები“ - ასისტენტ პროფესორი ელზა ლომიძე.

ახალი საგნის დამატება

7. „კომუნიკაციის თეორიის შესავალი“ - ლექტორი ასისტენტ პროფესორი ხათუნა მაისაშვილი, შემოდგომის სემესტრი.
8. „ჟურნალისტიკა მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში“ - ლექტორი ასისტენტ პროფესორი ელზა ლომიძე და ასისტენტ პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

საგნის ამოღება

9. „ქართული ენა 3“ - ამოღებულია
10. „პრაქტიკული სტილისტიკა“ - ამოღებულია
11. „მედიატექსტში კოდირებული მნიშვნელობის ინტერპრეტაცია“ - ამოღებულია

სალექციო კურსის სახელის ცვლილება:

12. „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“ ნაცვლად „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი 1 “-ისა.
13. „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი 2“-ის ნაცვლად „ჟურნალისტიკა მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში“

სემესტრული ცვლილება/სემესტრის შეცვლა

14. „ფოტოჟურნალისტიკა - პრაქტიკული“ - ლექტორი გურამ წიბახაშვილი, გაზაფხულის სემესტრი ნაცვლად შემოდგომისა.

**ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამა:**

ახალი სალექციო კურსები

1. „ტელეჟურნალისტიკის შემოქმედებითი მეთოდები“ - ლექტორი ელდარ იბერი, 5 კრედიტი, 3 სთ (15/30), წინაპირობა „ტელემედია“.
2. „დისკურსული ერთეულების კონტენტ-ანალიზი“ - ასისტენტ პროფესორი ხათუნა მაისაშვილი, 5 კრედიტი, 2 სთ (15/15), საგნის წინაპირობა: „ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“

საგნის წინაპირობის მოხსნა

3. „კონვერგირებული ნიუსრუმი - მუშაობა მულტიმედია პლატფორმისათვის“ - ლექტორი ნათია კუპრაშვილი, მოეხსნა ერთ-ერთი წინაპირობა: „ახალი ამბების ჟურნალისტიკა 2“.
4. „მასობრივი კომუნიკაციის სისტემა“ - ლექტორი ელდარ იბერი, მოეხსნა წინაპირობა.

კორექტირებული სახელწოდებები:

5. „ეკონომიკა ჟურნალისტებისათვის“, 5 კრედიტი, 3 საათი(15/30), ნაცვლად „ბიზნესისა და ეკონომიკის საკითხების გაშუქება“-ავტორი გ.კალანდაძე.
6. „კონვერგირებული ნიუსრუმი - მუშაობა მულტიპლატფორმებისათვის“ ნაცვლად „კონვერგირებული მედია - მუშაობა მულტიპლატფორმებისათვის“ ლექტორი ნათია კუპრაშვილი.

საათობრივი დატვირთვების შეცვლა

7. „ბავშვთა საკითხების გაშუქება“ - ლექტორი ნინო ჭალაგანიძე, 5 კრედიტი, 30 საათი 15/15(ნაცვლად 15/30).
8. წერა PR-ისთვის“ - ლექტორი ნინო ჭალაგანიძე, 5 კრედიტი, 30 საათი, 15/15, (ნაცვლად 15/30).

9. „მასობრივი კომუნიკაციის სისტემა“ - ელდარ იბერი, 5 კრედიტი, 45 საათი 15/30, (ნაცვლად (30/15).
10. „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (რადიო-ტელევიზია)“ - 5 კრედიტი, 45 საათი 15/30 (ნაცვლად 30/15).

ლექტორის ცვლილება

11. „მედიამენეჯმენტი“ - მოწვეული ლექტორი ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი, 5 კრედიტი (15/15), ნაცვლად ს. მგალობლიშვილისა.
12. „მედიაეთიკა და თვითრეგულირება“ - ასოცირებული პროფესორი ნათია კუპრაშვილი, 5 კრედიტი, (15/30), ნაცვლად თ.რუხაძისა.
13. „კონფლიქტების გაშუქება“ - ლექტორი ზაზა ცოტნიაშვილი ნაცვლად თამარ ბელქანიასი.

ლექტორის დამატება

14. „კულტურული მიმდინარეობები და მედიატექსტები“ - დაემატა ლექტორი ადა ნემსაძე.

სალექციო კურსის კრედიტების ცვლილება:

15. სალექციო კურსებს: ,,ახალი ამბების ჟურნალისტიკა“ I და II - ნაცვლად 6-6 კრედიტისა, გახდა 5-5 კრედიტი;
16. სალექციო კურსებს: „ბეჭდური მედიასა“ და „ბეჭდური მედია - პრაქტიკუმს“, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
17. სალექციო კურსს: „მეტყველების ტექნიკა“. ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
18. სალექციო კურებს: „ფოტოჟურნალისტიკა“ და „ფოტოჟურნალისტიკის პრაქტიკუმი“, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
19. სალექციო კურსს: „საერთაშორისო მედია“, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
20. სტაჟირების კრედიტ-კურსს ბეჭდურ მედიაში, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
21. სტაჟირების კრედიტ-კურსს რადიომედიაში, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
22. სალექციო კურსს: „სამაუწყებლო პროგრამირების საფუძვლები“, ნაცვლად 3 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;

23. სალექციო კურსს: „პოლიტიკის საკითხების გაშუქება“, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
24. სალექციო კურსს: „სოციალური საკითხების გაშუქება“, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
25. სალექციო კურსს: „კონვერგირებული ნიუსრუმი - მუშაობა მულტიპლატფორმებისთვის“, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
26. სალექციო კურსს: „ლოკალური მედია - ადგილობრივი ხელისუფლების მეთვალყურე“, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
27. სალექციო კურსს: „ბავშვთა საკითხების გაშუქება“, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
28. საგანს: „რადიომედია - პრაქტიკუმი“, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
29. საგანს: „ბეჭდური მედია - პრაქტიკუმი“, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
30. საგანს: „ტელემედია - პრაქტიკუმი“, ნაცვლად 4 კრედიტისა, მიენიჭა 5 კრედიტი;
31. საბაკალავრო ნაშრომს, ნაცვლად 5 კრედიტისა, მიენიჭა 10 კრედიტი.
32. „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (რადიო-ტელევიზია)“ – 5 კრედიტი ნაცვლად 4-ისა.
33. „რადიომედია - პრაქტიკუმი“ ნაცვლად „სამაუწყებლო მედია (რადიო) 2-ისა, (პრაქტიკული)“. 5 კრედიტი, ნაცვლად 4 კრედიტისა.

სალექციო კურსის დასახელების ცვლილება:

34. სალექციო კურსს „საზღვარგარეთის მედია“ (ავტორი: ე. ბასილაია, საათობრივი დატვირთვა 15/30), შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა „საერთაშორისო მედია“;
35. ნაცვლად სალექციო კურსებისა: „სოციალური საკითხების გაშუქება“ 1 და 2 (ავტორი: მ. მემანიშვილი, საათობრივი განაწილება: 15/15), წაიკითხება გამთლიანებული სალექციო კურსი „სოციალური საკითხების გაშუქების“ სახელწოდებით.
36. „ანალიზისა და მოსაზრების წერა -პრაქტიკუმი“ ნაცვლად „ანალიზის და მოსაზრების წერა 2“-ისა. ლექტორები - მარი წერეთელი, მარიამ გერსამია და მაია ტორაძე.
37. „რადიომედია“ ნაცვლად „სამაუწყებლო მედიია (რადიო) 1“-ისა. გახდა სავალდებულო.
38. „რადიომედია - პრაქტიკუმი“ ნაცვლად „სამაუწყებლო მედია (რადიო) 2-ისა, (პრაქტიკული)“.
39. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები“ ნაცვლად „ინტეგრირებული მარკეტინგ კომუნიკაციებისა“.

40. „მეტყველების ტექნიკა 1“ და „მეტყველების ტექნიკა 2“ ნაცვლად „მეტყველების კულტურა 1“ და „მეტყველების კუილტურა 2“-ისა.

სემესტრის შეცვლა:

41. სალექციო კურსი: „ეკონომიკა ჟურნალისტებისთვის“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ გაზაფხულის სემესტრში;
42. სალექციო კურსი: „კონფლიქტების გაშუქება“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
43. სალექციო კურსი: „ბავშვთა საკითხების გაშუქება“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
44. სალექციო კურსი: „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ გაზაფხულის სემესტრში;
45. სალექციო კურსი: „XX საუკუნის ქართული პრესის ისტორია“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
46. სალექციო კურსი: „სოციალური საკითხების გაშუქება“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ გაზაფხულის სემესტრში;
47. სალექციო კურსი: „ჟურნალისტური გამოძიება“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
48. სალექციო კურსი: „მეტყველების ტექნიკა 1“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
49. სალექციო კურსი: „ფოტოჟურნალისტიკა“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
50. სალექციო კურსი: „მედიის კვლევის მეთოდები“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
51. სალექციო კურსი: „საერთაშორისო მედია“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
52. სალექციო კურსი: „დემოკრატია და მოქალაქეობა“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ გაზაფხულის სემესტრში;
53. სალექციო კურსი: „მედიამენეჯმენტი“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
54. სალექციო კურსი: „მედიასამართლის ძირითადი პრინციპები“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ გაზაფხულის სემესტრში;
55. სალექციო კურსი: „მედიაეთიკა და თვითრეგულირება“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;

56. სალექციო კურსი: „წერა PR-ისთვის - პრაქტიკული“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
57. სალექციო კურსი: „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (რადიო-ტელევიზია)“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ გაზაფხულის სემესტრში;
58. სალექციო კურსი: „ადამიანის უფლებების გაშუქება“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ გაზაფხულის სემესტრში;
59. სალექციო კურსი: „მედია და პოლიტიკური კომუნიკაციები“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
60. სალექციო კურსი: „კონვერგირებული ნიუსრუმი - მუშაობა მულტიპლატფორმებისთვის“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ გაზაფხულის სემესტრში;
61. სალექციო კურსი: „ლოკალური მედია - ადგილობრივი ხელისუფლების მეთვალყურე“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ გაზაფხულის სემესტრში;
62. სალექციო კურსი: „აუდიოვიზუალური ხელოვნება“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
63. სალექციო კურსი: „კრიმინალური და სასამართლო თემების გაშუქება“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
64. სალექციო კურსი: „კინემატოგრაფიის ისტორია“, ნაცვლად ორივე სემესტრისა, წაიკითხება მხოლოდ შემოდგომის სემესტრში;
65. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა, ნაცვლად გაზაფხულის სემესტრისა, შესაძლებელი იქნება ორივე სემესტრში.

სტატუსის ცვლილება

66. „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“ - გახდა სავალდებულო, ნაცვლად არჩევითისა.

**სოციოლოგიის მიმართულების პროგრამა:**

საგნის დამატება

1. „სამართლის სოციოლოგია“- ლექტორი რატი შუბლაძე, 5 კრედიტი, არჩევითი, შემოდგომის სემესტრი, (15/15).
2. „ჯანდაცვის სოციოლოგია“ - ლექტორი თენგიზ ვერულავა. 5 კრედიტი, არჩევითი, შემოდგომის სემესტრი, (15/15).

**სოციალური მუშაობის  პროგრამა:**

საგნის დამატება

1. „ჯანდაცვის პოლიტიკის“ - ლექტორი თენგიზ ვერულავა, 5 კრედიტი, არჩევითი, შემოდგომის(მესამე) სემესტრი, (15/15).

სახელის ცვლილება

2. „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ ნაცვლად „ინტერპერსონალური ურთიერთობებისა“.

## სამაგისტრო პროგრამები:

**მედია და ახალი ტექნოლოგიები:**

საგნის სახელწოდების შეცვლა/კორექტირებული სახელწოდებები

1. სასწავლო კურსს „მედიამენეჯმენტს“ შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა - „მედიაეკონომიკა“;
2. გაერთიანდა 2 სასწავლო კურსი - „მედია პროგრამირების საფუძვლები“ და „სამაუწყებლო პროდიუსინგი“.  კურსს ახლა ჰქვია - „სამაუწყებლო პროდიუსინგი და პროგრამირება“;
3. სასწავლო კურსს „მედიასამართალი და თვითრეგულირება“ შეეცვალა სახელი და ეწოდება - „მედია სამართალი და სამაუწყებლო პლატფორმების რეგულაცია“;

საგნის ამოღება

4. პროგრამიდან ამოღებულია არჩევითი სასწავლო კურსი - „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები“,

ახალი საგნის დამატება

5. პროგრამას დაემატა არჩევითი კურსი - „მედია სისტემები და თეორიები“', (15/15), ლექტორი დალი ოსეფაშვილი.

სალექციო კურსებზე ლექტორების ცვლილება

6. არჩევით სასწავლო კურსს „ვიზუალური კომუნიკაცია" დაემატა 2 ლექტორი - ხათუნა კაჭარავა და თათია ქართლელიშვილი;
7. არჩევით სასწავლო კურსს „მეცნიერების, განათლებისა და ტექნოლოგიების საკითხების გაშუქება" დაემატა ლექტორი თამარ კაკუტია.

სალექციო კურსის საკონტაქტო საათების რაოდენობა

8. Web 2.0. და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ჟურნალისტებისათვის (15/30-ის ნაცვლად 15/15), ლექტორი შოთა ბარბაქაძე.

**საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროგრამა:**

საგნის სახელწოდების შეცვლა/კორექტირებული სახელწოდებები

1. „ბრიტანეთის პოლიტიკა და პოლიტიკური გეოგრაფია" - ლექტორი რევაზ გაჩეჩილაძე, ნაცვლად „ბრიტანეთის თანამედროვე პრობლემებისა".

**დემოგრაფიის და მოსახლეობის გეოგრაფიის პროგრამა:**

საგნის ამოღება

1. „მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია" - ლექტორი თამარ დოლბაია, 5 კრედიტი.

ახალი საგნის დამატება

2. „ქვეყნის შიდა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარება" – მოწვეული ლექტორი რუსუდან თევზაძე, 5 კრედიტი, სავალდებულო.

სალექციო კურსის სტატუსის შეცვლა

3. „განვითარების გეოგრაფია" - ლექტორი ვლადიმერ მელიქიძე, არჩევითი საგანი (ნაცვლად სავალდებულოსი).

სემესტრული ცვლილებები/სემესტრის შეცვლა

4. “კავკასიის მოსახლეობა” - ლექტორი ვაჟა ლორთქიფანიძე, არჩევითი საგანი, 5 კრედიტი, გადადის საგაზაფხულო სემესტრში, ნაცვლად შემოდგომისა.

**დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამა:**

ახალი სალექციო კურსის დამატება

1. „ეკონომიკური დიპლომატია“ - ლექტორები: სერგი კაპანაძე და ლევან ნატროშვილი, არჩევითი.

სალექციო კურსის ლექტორის ცვლილება

2. „ლათინური ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში“ - ლექტორები: ფიქრია ასანიშვილი და სოფიო ალავერდაშვილი.

ლექტორის დამატება და სილაბუსის ცვლილება

3. „დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა“ - ლექტორი ფიქრია ასანიშვილი და ივანე მაჭავარიანი.
4. „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ - დაემატა ლექტორი რატი შუბლაძე.
5. „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები“ - ლექტორი ზურაბ დავითაშვილი და ანა კვირიკაშვილი ნაცვლად რევაზ გაჩეჩილაძისა.

**ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირების პროგრამა:**

საგნის დამატება

1. „ორგანიზაციის კონსულტირების სამართლებრივი საფუძვლები“ - ლექტორი, პროფესორი ნოდარ ბელქანია და მოწვეული ლექტორი გვანცა ბარაბაძე.

**კონფლიქტების ანალიზი და მართვა:**

საგნის დამატება

1. „ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტების ტრანსფორმაციაში“ - ლექტორი ლაშა ტუღუში, 5 კრედიტი, არჩევითი, (30/30).

2. „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ - ლექტორები: რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი; მოწვეული პედაგოგები: მარეხ დევიძე, თათია ქართლელიშვილი; 5 კრედიტი, არჩევითი, (30/30)
3. „კონფლიქტები “ცივი ომის“ და მის შემდგომ პერიოდში“ - სავალდებულო (2016 – 2017 წლის და შემდგომ პერიოდის ჩარიცხულებისათვის)

სალექციო კურსის საკონტაქტო საათების ცვლილება

4. „კონფლიქტების გლობალური კონტექსტი“ - ლექტორი გუგული მაღრაძე, 5 კრედიტი, სავალდებულო, (30/30).
5. „შესავალი კონფლიქტოლოგიაში“ - ლექტორი გუგული მაღრაძე, 5 კრედიტი, სავალდებული, (30/30).

სალექციო კურსის წინაპირობის მოხსნა

6. „მედიაცია“ - ლექტორი რევაზ ჯორბენაძე, 5 კრედიტი, არჩევითი, (15/30).

სალექციო კურსის სახელის და ლექტორის ცვლილება:

7. „პროექტის მართვა“ გახდა „პროექტის ციკლის მართვა“ ლექტორი ქეთევან ვასაძის ნაცვლად წაიკითხავს ირინა ფრუიძე.

**პოლიტიკის მეცნიერების პროგრამა:**

საგნის დამატება

5. „ნაციონალიზმი და დემოკრატია“ – (ინგლისურ ენაზე) - ლექტორები: სტივენ ჯონსი და დავით მაცაბერიძე, 5 კრედიტი (15/30), არჩევითი , „Nationalism and Democracy” – Lecturers Stephen F. Jones, David Matsaberidze.

სალექციო კურსის საკონტაქტო საათების ცვლილება

6. „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ -- ლექტორები: თამარ ქარაია და გიორგი მელიქიძე. 4 საათი.

სალექციო კურსებზე ლექტორების ცვლილება

7. „პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში: სოციალ-დემოკრატია“ - ლექტორი მალხაზ მაცაბერიძე.
8. „პოლიტიკური თეორია: წარსული და თანამედროვეობა“ - ლექტორი მალხაზ მაცაბერიძე.

სალექციო კურსზე ლექტორის დამატება

9. „რუსეთის პოლიტიკა: პოსტ-საბჭოთა პერიოდი“ – 10 კრედიტი (30/30), დაემატა ლექტორი დავით მაცაბერიძე.

**გენდერის კვლევის პროგრამა:**

საგნების დამატება

1. „გენდერი, პოლიტიკა და სამოქალაქო საზოგადოება“ - მოწვეული ლექტორი ანა ილურიძე, 5 კრედიტი (15/15), შემოდგომის(პირველი) სემესტრი, არჩევითი.
2. „პოსტკოლონიური ფემინისტური კრიტიკა, იმპერია და კაპიტალიზმი“ - მოწვეული ლექტორი მაია ბარქაია, 5 კრედიტი (15/15), გაზაფხულის(მეორე) სემესტრი, არჩევითი.
3. „ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულირება“ - მოწვეული ლექტორი მარინა მესხი, 5 კრედიტი, (15/15), შემოდგომის(მესამე) სემესრტი, არჩევითი.
4. „სოციალური მოძრაობები და გენდერი“ - მოწვეული ლექტორი მაია ბარქაია, 5 კრედიტი, (15/15), შემოდგომის(მესამე) სემესრტი, არჩევითი.
5. „გენდერი და ქრისტიანობა“ - მოწვეული ლექტორი თამარ ცოფურაშვილი, 5 კრედიტი, (15/15), შემოდგომის(მესამე) სემესრტი, არჩევითი.

სალექციო კურსის ლექტორის ცვლილება

6. „სოციალური კვლევის მეთოდები“ - ლექტორი თეონა მატარაძე, თამარ ხუნწარიას ნაცვლად.

ლექტორის დამატება

7. „კვლევითი სემინარი“ - ლექტორი ქეთევან ჩხეიძე.

**სოციოლოგიის პროგრამა:**

საგნის დამატება

1. „კვლევის პროექტი” - ლექტოროი თამარ მახარაძე, 5 კრედიტი, არჩევითი, შემოდგომის (მესამე ) სემესტრი, (15/15).

**სოციალური მუშაობის პროგრამა:**

საგნის დამატება

1. „კვლევის პროექტი“ - ლექტორიი თამარ მახარაძე, 5 კრედიტი, არჩევითი, შემოდგომის(მესამე ) სემესტრი, (15/15).

**მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების პროგრამა:**

სალექციო კურსის საკონტაქტო საათების და კრედიტების ცვლილება

1. „მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები II” - სავალდებულო, 6 კრედიტი ნაცვლად 5-ისა. 45 საათი (30/15), ლექტორები: მარიამ გერსამია და მაია ტორაძე.

ფაკულტეტის საბჭოსთვის წარმოდგენილი არ იყო შემდეგი სამაგისტრო პროგრამები:

1. „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“ - ხელმძღვანელი ნანა მაჭარაშვილი.
2. „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“ - ხელმძღვანელი იაგო კაჭკაჭიშვილი.

**დანართი #2**

**საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესი**

**მუხლი 1. მიზანი**

საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) სტუდენტების მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჩართვას საერთაშორისო სასწავლო და კვლევითი პროექტების, ასევე პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში.

**მუხლი 2. დაფინანსების მოთხოვნის უფლების მქონე პირი**

1. დაფინანსების მოთხოვნის უფლება აქვს ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტს ამ წესის მუხლი 3-ის შესაბამისად.

**მუხლი 3. დაფინანსების ობიექტები**

3.1. ფაკულტეტის მიერ შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი კატეგორიის აქტივობები:
3.1.1 სასწავლო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის;
3.1.2 კვლევით პროექტებში მონაწილეობა (მხოლოდ სწავლების ბოლო საფეხურზე მყოფი სტუდენტებისათვის);
3.1.3 საერთაშორისო საუნივერსიტეტო კონფერენციებში (კონგრესებში, სიმპოზიუმებში) მონაწილეობა (მხოლოდ მომხსენებლებისთვის) სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის;
3.1.4 საერთაშორისო მოდელირებებში მონაწილეობა (მხოლოდ სწავლების პირველი საფეხურის სტუდენტებისათვის);
3.1.5. სეზონური სკოლების მუშაობაში მონაწილეობა (კრედიტების მინიჭების შემთხვევაში)
3.2. არ ფინანსდება გაცნობითი, კულტურული გაცვლისა და არასაგანმანათლებლო ფორუმები (ყრილობები, შეხვედრები, მრგვალი მაგიდები და ა.შ.), ასევე ქართული ორგანიზაციების მიერ საზღვარგარეთ დაგეგმილი ღონისძიებები.

**მუხლი 4. ანაზღაურების ოდენობა, დასაბეგრი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, განისაზღვრება შემდეგნაირად:**

4.1 ბაკალავრიატის სტუდენტისათვის:

4.1.1 არაუმეტეს 1250 ლარის (კავკასია, ევროპა, რუსეთის ევროპული ნაწილის ჩათვლით, თურქეთი, ირანი, ისრაელი);
4.1.2 სხვა რეგიონებში გამართული აქტივობის შემთხვევაში არაუმეტეს 1500 ლარის;
4.2. მაგისტრატურის სტუდენტისათვის:
4.2.1. არაუმეტეს 2000 ლარისა (კავკასია, ევროპა, რუსეთის ევროპული ნაწილის ჩათვლით, თურქეთი, ირანი, ისრაელი);
4.2.2. სხვა რეგიონებში გამართული აქტივობის შემთხვევაში არაუმეტეს 2250 ლარისა;
4.3. დოქტორანტურის სტუდენტისათვის:
4.3.1. არაუმეტეს 2250 ლარისა (კავკასია, ევროპა, რუსეთის ევროპული ნაწილის ჩათვლით, თურქეთი, ირანი, ისრაელი);
4.3.2. სხვა რეგიონებში გამართული აქტივობის შემთხვევაში არაუმეტეს 2500 ლარისა.
4.4. საქართველოს შიგნით კონფერენციებსა და სეზონურ სკოლებში მონაწილეობა ფინანსდება არაუმეტეს 500 ლარისა.
4.5. ფინანსდება მხოლოდ სარეგისტრაციო, მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები.
4.6. სასწავლო გაცვლით პროგრამებში დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის საგარეო დეპარტამენტთან შეთახმებით;
4.7.კონფერენციებში მონაწილეობა ფინანსდება 100 %-ით, ან დაფინანსების ლიმიტის

მაქსიმუმის ფარგლებში, თუ მოთხოვნილი თანხა ასეთ ლიმიტს აღემატება.
4.7.1. კონფერენციის მოხსენების ორი ან მეტი თანაავტორის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია დაფინანსდეს ერთი მომხსენებელი ან დაფინანსების თანხა განაწილდეს თანამომხსენებლებს შორის (სტუდენტების არჩევანით).
4.8. მოდელირებებში, მონაწილეობა ფინანსდება 50-75 %-ით, მაგრამ არაუმეტეს დაწესებული ლიმიტისა.
4.9. სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტის დაფინანსება მოხდება მხოლოდ ერთხელ საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 5. სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

5.1. დაფინანსების მისაღებად სტუდენტმა ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგიონოს დეკანის სახელზე დაწერილი განცხადება და მას უნდა დაურთოს:
5.1.1 მოწვევა უცხო ენაზე, უცხოური ორგანიზაციის/უნივერსიტეტის ოფიციალურ ბლანკზე და მოწვევის ქართული თარგამანი, დამოწმებული მთარგმნელის მიერ, ხელმოწერითა და ბეჭდით. ქართულ–უცხოური ორგანიზაციის მიერ გაცემული მოწვევა არ განიხილება. მოწვევაში მითითებული უნდა იყოს, რომ მოხსენება (სათაურის მითითებით) მიღებულია კონფერენციაზე წარსადგენად.
5.1.2 მგზავრობის ინვოისის დედანი ან გადახდის ქვითარი;
5.1.3 აქტიური სტუდენტის ცნობა;
5.1.4 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა სტუდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც გაამყარებს საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებაში მისი მონაწილეობისა და დაფინანსების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

მუხლი 6. სამივლინებო კომისია

1. სტუდენტის სრული, ან ნაწილობრივი დაფინანსების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, დეკანის ბრძანებით ფაკულტეტზე იქმნება სტუდენტთა სამივლინებო კომისია (შემდგომში - „კომისია“), რომლის შემადგენლობაში შედის ყველა მიმართულებიდან თითო პროფესორი, ასევე ფაკულტეტის საბჭოს და თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი თითო სტუდენტი. კომისიას თავმჯდომარეობს დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში.
2. კომისია იკრიბება თვეში ერთხელ, თვის პირველ ხუთშაბათს. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
3. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის სხდომის შედეგები ფორმდება ოქმით.

5. სტუდენტთა განცხადებების განხილვის საფუძველზე, კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღება, წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანის მიერ თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის საფუძველს.

დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე. ოქმი #6, 29 სექტემბერი, 2016

**დანართი №3**

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის
**„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“** ფარგლებში
**სტიპენდიების მინიჭების საფაკულტეტო წესი**

1) „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიებით დაფინანსება ითვალისწინებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის დაფინანსებას წინა სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე. ასევე, დაფინანსება გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც კალენდარულ სემესტრში სტატუსი შეჩერებული ჰქონდა უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამო, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს მუნდუსის პროექტების, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებისა და თსუ-სა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს (პარტნიორ უნივერსიტეტებს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 5 დეკემბრის ბრძანების №2013/01-01 (დანართი №1) შესაბამისად.

2) სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა განხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა (თითოეულ საგანში არანაკლებ 81 ქულისა) და წინა სემესტრში შესრულებული მინიმუმ 30 კრედიტის საფუძველზე 100 ქულიანი სისტემით:

ა) **აკადემიური მოსწრება** - შეფასდება 80 ქულით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში, ასევე ამ წესის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, წინა სემესტრში სასწავლო კურსებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით, რომელიც გამრავლდება 80–ზე და გაიყოფა 100–ზე.

ბ) **სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება** - შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით. მიიღება წინა სემესტრში გამოქვეყნებული ნაშრომები.

**2 ქულა** - პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ, ბეჭდურ ან ელექტრონულ სამეცნიერო გამოცემებში;

**3 ქულა** - პუბლიკაციები ქართულ ან უცხოურ ბეჭდურ, ან ელექტრონულ რეცენზირებად/რეფერირებად პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში.

გ) **სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა** - შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით (ჩაითვლება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები).

**1 ქულა** - საქართველოში შესაბამისი ფორმალური მხარდაჭერით ორგანიზებულ სტუდენტურ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;

**2 ქულა** - თსუ-ს საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა;

**3 ქულა** – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა და თსუ–ს საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციებში გამარჯვება.

3) სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

4) საკონკურსო კომისია იხელმძღვანელებს სტუდენტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით. ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს პუბლიკაციის ასლი, თავფურცლისა და სარჩევის დართვით; კონფერენციაში მონაწილეობის შემთხვევაში – კონფერენციის პროგრამა და მონაწილის სერტიფიკატი.

5) სტიპენდია არ გაიცემა დამატებითი სემესტრის სტუდენტზე.

6) თუ სტიპენდიის კანდიდატებმა დააგროვეს თანაბარი ქულები, უპირატესობა მიენიჭება მაღალი GPA –ს (სემესტრული) მქონე სტუდენტს.

7) სტიპენდიით დასაფინანსებელ სტუდენტთა სიას, ფაკულტეტის დეკანი საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე, დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

შენიშვნა 1:

წინა სემესტრის პერიოდი აითვლება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან მომდევნო სემესტრის დაწყებამდე.

შენიშვნა 2:

საპუბლიკაციოდ შესარჩევი სამეცნიერო ჟურნალის კრიტერიუმები:

1. ჟურნალს უნდა გააჩნდეს ISSN ან ISBN კოდი;

2. ჟურნალს უნდა ჰყავდეს აკადემიური სარედაქციო კოლეგია;

3. სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს ინდივიდუალურად ან არაუმეტეს ბაკალავრიატის საფეხურის მხოლოდ ერთ თანაავტორთან (სხვა საფეხურის სტუდენტებთან ან ხელმძღვანელებთან ერთად გამოქვეყნებულ სტატიებში ავტორების რაოდენობა არ არის შეზღუდული);

4. პრეტენდენტს სასტიპენდიოდ ჩაეთვლება ნომერში გამოქვეყნებული მხოლოდ ერთი სტატია.

5. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პუბლიკაციის ასლი თავფურცელისა და სარჩევის დართვით; კონფერენციაში მონაწილეობის შემთხვევაში – კონფერენციის პროგრამა და მონაწილის სერტიფიკატი;

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიების მინიჭების საკონკურსო კომისია

1. მარინა ბურძენიძე – დეკანის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
2. ვალერიან მელიქიძე – დეკანის მოადგილე
3. ნათელა მონიავა – სასწავლო პროცესის სამსახურის მართვის უფროსი
4. ნათია დათიაშვილი – მთავარი სპეციალისტი
5. თეონა მატარაძე – სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
6. თამარ გოგორიშვილი – უფროსი სპეციალისტი
7. ლუიზა აბაზაძე – მთავარი სპეციალისტი
8. თამარ ქარსაულიძე – უფროსი სპეციალისტი
9. კონსტანტინე შუბითიძე – უფროსი სპეციალისტი
10. ნინო ქუფარაშვილი – უფროსი სპეციალისტი

**დამტკიცებულია:** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 29 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი N6)

საპუბლიკაციოდ შესარჩევი სამეცნიერო ჟურნალის კრიტერიუმები:

1. ჟურნალს უნდა გააჩნდეს ISSN ან UDC კოდი;

**დანართი №4**

თემის ცვლილება

პოლიტიკის მეცნიერება

1. **არჩილ სიხარულიძე** - მე-4 სემესტრის დოქტორანტი. შეეცვალოს ძველი თემა „პოლიტიკური მენტალიტეტის ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში" ახალი თემით: „ვარდების რევოლუციის ზეგავლენა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე: მოლოდინები და შედეგები" (2016 წლის 8 თებერვლის სხდომა, ოქმი #1). სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე.

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

2. **თამთა ქუსიკაშვილი** - მე-4 სემესტრის დოქტორანტი. შეეცვალოს ძველი თემა „ადგილობრივი თვითმმართველობა და მათი თავისებურებები საქართველოში" ახალი თემით: "პოლიტიზირება-დეპოლიტიზირების ეტაპები დემოკრატიზაციის პროცესში და კონფლიქტების დარეგულირება (საქართველოს მაგალითზე)" (2016 წლის 30 ივნისის სხდომა, ოქმი #3) სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე.

თემის სათაურის ცვლილება

მასობრივი კომუნიკაცია

3. **თინათინ მაჭარაშვილი** - მე-4 სემესტრის დოქტორანტი. შეეცვალოს თემის ძველი სათაური: „სახის სემიოტიკური ანალიზი თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში" ახალი სათაური: „ინფორმაციის ვიზუალიზების ტენდენცია თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში - 2012-2014 წლების გამოცდილება" (2016 წლის 19 მაისის სხდომა, ოქმი #2). სამეცნიერო ხელძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი.

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

4. **მარეხ დევიძე** - მე-6 სემესტრის დოქტორანტი. შეეცვალოს თემის ძველი სათაური „ლოკალურ-კოსმოპოლიტური ორიენტაციის დონეების განსაზღვრა ორგანიზაციის კონფლიქტების პრევენციისთვის" ახალი სათაურით: „კონფლიქტის პრევენცია ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის პიროვნებებთან" (2016 წლის 30 ივნისის სხდომა, ოქმი #3). სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე.

**თემის სათაურებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება** (2016 წლის 19 მაისის სხდომა, ოქმი #2):

2011-2012 წ. გაზაფხული

პოლიტიკის მეცნიერება

1. **ელენე გელაშვილი** - "ქარიზმული ლიდერი თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში"
   ხელმძღვანელი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

2013-2014 ს.წ. შემოდგომა

პოლიტკის მეცნიერება

2. **შარაშენიძე პაატა** - "ქართული პოლიტიკური სპექტრი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი (2012 და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში)". ხელმძღვანელი: პროფესორი, მალხაზ მაცაბერიძე

საზოგადოებრივი გეოგრაფია

3. **ლოლაძე ნიკა** - მიგრაციული პროცესების ზეგავლენა საქართველოს ბერძნული თემის კომპაქტური დასახლების არეალების სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციაზე. ხელმძღვანელი: პროფესორი, **გიორგი გოგსაძე**

სოციოლოგია

4. **ჩოქური ქეთევანი** - სსიპ საჯარო სკოლის მოსწავლეთა დაფინანსების გადანაწილების ოპტიმალური მოდელის აგება სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე. ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, **ნინო დურგლიშვილი, ზურაბ ქვათაძე**

2014-2015 ს.წ. შემოდგომა

საერთაშორისო ურთიერთობები

5. **ლორთქიფანიძე შორენა** - საერთაშორისო განვითარების პოლიტიკა და ახალი იდენტობის ფორმირება: საქართველოს სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო ტრანსფორმაცია. ხელმძღვანელი: პროფესორი, **ზურაბ დავითაშვილი**
6. **ყალიჩავა გიორგი** - სამხედრო ოკუპაციების წარუმატებლობის მიზეზები. ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, **თორნიკე თურმანიძე**

2015-2016 ს.წ. შემოდგომა

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

7. **გვენეტაძე ნათელა** - უსაფრთხოების შენარჩუნება და შესაძლებლობების განვითარება პოსტ-კონფლიქტურ რეგიონებში და მისი მნიშვნელობა საქართველოს კონფლიქტების მოგვარების საქმეში. ხელმძღვანელი: პროფესორი, **რევაზ ჯორბენაძე**

საერთაშორისო ურთიერთობები

8. **შუბითიძე კონსტანტინე** - საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებების გავლენა ქართულ ნაციონალიზმზე 1910-იან და 1980-იან წლებში ( შედარებითი ანალიზი). ხელმძღვანელი: პროფესორი, **ზურაბ დავითაშვილი**

საზოგადოებრივი გეოგრაფია

9. **ზიბზიბაძე ნანა** - ირანის გეოპოლიტიკური ინტერესები საქართველოში. ხელმძღვანელები: პროფესორები, **გიორგი გოგსაძე, ზურაბ დავითაშვილი**
10. **კობახიძე ნინო** - საქართველოს შრომის ბაზარზე ახალგაზრდების ინტეგრაციის სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული თავისებურებანი. ხელმძღვანელები: პროფესორი, **გიორგი გოგსაძე;** ასოცირებული პროფესორი, **გიორგი მელაძე**

თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორ თამარ დოლბაიას

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროფესორ რევაზ ჯორბენაძეს

ამავე ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ზურაბ დავითაშვილის

# განცხადება

ქალბატონო თამარ,

ბატონო რევაზ,

როგორც თქვენთვის ცნობილია საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას, რაც გამოხატულია პროფესიული ინგლისურის კურსებით (ინგლისური 3, ინგლისური 4, ინგლისური 5 და ინგლისური 6). ყოველწლიურად სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა სხვადასხვა გაცვლითი პროგრამით ერთ ან ორ სემესტრს გადის ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტების შესაბამის სპეციალობაზე, სადაც სწავლების ენა ინგლისურია. თსუ–ში დაბრუნების შემდეგ ჩნდება პრობლემა კრედიტების აღიარების თვალსაზრისით, რადგან ინგლისურენოვან უნივერსიტეტებში ინგლისური ენა ცალკე საგნად არ ისწავლება. ამის გამო სტუდენტს აკლდება კრედიტები, რომლის შესავსებად მან სემესტრი უნდა დაიმატოს და დამატებითი თანხა გადაიხადოს. ასე, რომ საზღვარგარეთ სწავლა, მას ფაქტობრივად სასჯელად და ხელის შემშლელ ფაქტორად ექცევა. მდგომარეობა აბსურდულია, რადგან სტუდენტს, რომელმაც ყველა საგანი გაიარა და ჩააბარა ინგლისურად, ვთხოვთ ინგლისური ენის თავიდან გავლას.

ეს საკითხი ყოველწლიურად იჩენს თავს და ალბათ დროა, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ინგლისურენოვან უნივერსიტეტში სემესტრის გავლის შემთხვევაში, სტუდენტს ავტომატურად უნდა მიენიჭოს 5 კრედიტი ინგლისურ ენაში და არ უნდა მოეთხოვებოდეს ენის დამატებით გავლა. საჭიროდ მიგვაჩნია ეს საკითხი განხილული იქნეს ფაკულტეტის საბჭოზე და მიღებულ იქნას შესაბამისი დადგენილება, რომელიც ასახვას ჰპოვებს კრედიტების აღიარების წესის დოკუმენტში.

პატივისცემით,

პროფ. ზურაბ დავითაშვილი

07.09.2016.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
შემოსული N 1182 1 გვ.
"08" 09 2016წ.
ხელმოწერა : ი. [illegible]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს
ქალბატონ თამარ დოლბაიას
ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელის
რევაზ ჯორბენაძის

## სამსახურებრივი ბარათი

პატივცემულო თამარ,

მოგახსენებთ, რომ ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტის აკადემიური შემადგენლობა გაიზარდა (დღეისათვის 7 წევრია). ფაკულტეტის საბჭოში ყველა მიმართულება წარმოდგენილია რამდენიმე წევრით. ინტერდისციპლინური დეპარტამენტიდან მხოლოდ 2 წევრია წარმოდგენილი. აკადემიური შემადგენლობის ზრდასთან ერთად გთხოვთ ფაკულტეტის საბჭოში დაამატოთ 2 ადგილი. დეპარტამენტიდან წარმოდგენილია შემდეგი კანდიდატები - ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბაშიძე და ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძე.

(სამსახურებრივ ბარათს თან ერთვის ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტის სხდომის ოქმი)

პატივისცემით,

რევაზ ჯორბენაძე

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
შემოსული № 1311 2 გვ.
„29" 09 2016
ხელმოწერა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტის სხდომის

ო ქ მ ი  N 5

ქ.თბილისი 26 სექტემბერი, 2016.

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** პროფესორი - რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი - გუგული მაღრაძე, ასისტენტ-პროფესორი - ლაშა ტუღუში. ასისტენტ-პროფესორი - თეონა მატარაძე, ასოციერბული პროფესორი - ზურაბ აბაშიძე.

**დღის წესრიგი:** ინტერდისციპლინური დეპარტამენტის წევრების წარდგინება ფაკულტეტის საბჭოს წევრად დამატების თაობაზე.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარის რევაზ ჯორბენაძის ინფორმაცია ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის გაზრდის თაობაზე და ფაკულტეტის საბჭოში წევრების დამატების შესახებ. დასახელდა ორი კანდიდატი - ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბაშიძე და ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძე

**დაადგინეს:** წარედგინოს ფაკულტეტის საბჭოს ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბაშიძის და ასისტენტ-პროფესორი თეონა მატარაძის კანდიდატები საბჭოს წევრად დასამტკიცებლად.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე; რევაზ ჯორბენაძე